საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ოლიმპიური თამაშები

ოლიმპიურ თამაშებს დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ოლიმპიური ასპარეზობა ჩატარდა ქალაქ ოლიმპიაში 2700 წლის წინ. ეს იყო დიდი სახალხო ზეიმი. ეძღვნებოდა უმაღლეს ღვთაებას - ზევსს. ძველ საბერძნეთში თამაშები იმართებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ. ბერძენი ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭიდაობაში, რბოლაში, ბადროს ტყორცნაში. ამ დროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ომი წყდებოდა. ყველა გამარჯვებული ჯილდოვდებოდა. მათ ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინით ამკობდნენ.

საუკუნეები გავიდა. ოლიმპიური თამაშების ტრადიცია დავიწყებას მიეცა. 1894 წელს მისი აღდგენა გადაწყდა. ამ მიზნით შემუშავდა ოლიმპიური თამაშების ძირითადი წესები. პირველი განახლებული ოლიმპიადა 1896 წელს ჩატარდა ქალაქ ათენში.

ოლიმპიური დებულების მიხედვით, სპორტული სანახაობა როგორც ძველად, ახლაც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. საომარი ვითარების დროს თამაშები იკრძალება. სწორედ ამიტომ ორი მსოფლიო ომის გამო მე-6, მე-12 და მე-13 ოლიმპიადები არ ჩატარებულა.

ოლიმპიადა იხსნება ოლიმპიური ცეცხლის დანთებით. სტადიონზე აღიმართება ოლიმპიური ალამი - თეთრი ფერის დროშა. მასზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაჯაჭვული ხუთი რგოლი. ისინი სიმბოლურად ხუთ კონტინენტს აღნიშნავს.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს სპორტსმენები. თამაშების გახსნის დღეს ქვეყნები ანბანის მიხედვით გამოდიან. გამონაკლისია საბერძნეთი. ქვეყანა, სადაც სათავე დაედო ოლიმპიურ თამაშებს, ყოველთვის პირველი გამოდის. ასევე ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების დროშებთან ერთად აღიმართება საბერძნეთის დროშა. ჟღერს საბერძნეთის ეროვნული ჰიმნიც.

LIVEWORKSHEETS

დღეს ოლიმპიური თამაშები იმართება უკვე ზაფხულსა და ზამთარშიც. ზაფხულში შეჯიბრებები ტარდება ფეხბურთში, ხელბურთში, კრივში, ძალოსნობაში და სხვა. სულ სპორტის 20 სახეობაში. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს საფუძველი ჩაეყარა 1924 წელს. ამ ოლიმპიადაზე სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან ფიგურულ სრიალში, სათხილამურო სპორტში, ჰოკეიში და ზამთრის სპორტის სხვა სახეობებში. გამარჯვებულებს აჯილდოებენ ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლით.

ოლიმპიური თამაშების საზეიმო ვითარებაში ჩასატარებლად მასპინძელი ქვეყნები საგანგებოდ ემზადებიან. ასპარეზობის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი ნამდვილ ზეიმად იქცევა ხოლმე. ამ მხრივ გამორჩეული იყო 2008 წლის ოლიმპიური თამაშები პეკინში. პეკინის ეროვნულ სტადიონზე გამართულმა ლამაზმა სანახაობამ მთელი მსოფლიო გააოცა. ამ ოლიმპიადაზე თერთმეტი ათასი სპორტსმენი გამოდიოდა. საქართველოში იმ პერიოდში საომარი მდგომარეობა იყო. მიუხედავად ამისა, ქართველმა სპორტსმენებმა თამაშებში მონაწილეობა მიიღეს. მათ სამი ოქროს მედლის მოპოვებაც შეძლეს. ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო წოდება მიენიჭათ მანუჩარ კვირკველიას, ირაკლი ცირეკიძესა და რევაზ მინდორაშვილს.

შვეიცარიაში გახსნილია საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმი. აქ უამრავ ექსპონატს ნახავთ. მიიღებთ ინფორმაციას ოლიმპიური თამაშების ისტორიისა და ჩემპიონების შესახებ.

დღეს ოლიმპიური თამაშები მაღალი დონის საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებაა. ის ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მშვიდობასა და პროგრესს.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. ტექსტის პირველი აბზაცის მიზანია, გაგვაცნოს:

ა) რატომ ამკობდნენ გამარჯვებულს გვირგვინით.

ბ) რომელ წელს ჩატარდა პირველი ოლიმპიადა.

გ) საიდან მომდინარეობს ოლიმპიური თამაშები.

LIVEWORKSHEETS

2. ისევე როგორც ძველ საბერძნეთში, დღესაც:

ა) გამარჯვებული ზეთისხილის რტოების გვირგვინით ჯილდოვდება.
ბ) ოლიმპიური თამაშები იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ.
გ) შეჯიბრების დაწყების დროს ოლიმპიური ალამი აღიმართება.

3. რით განსხვავდება თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ძველბერძნულისაგან?

ა) ახლა გამარჯვებულს სპეციალური ჯილდო გადაეცემა.
ბ) ახლა იმართება ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები.
გ) ახლა ოლიმპიადა ოთხი წლის ინტერვალით იმართება.

4. ოლიმპიადის გახსნის დღეს საბერძნეთის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვის მიზნით:

ა) მხოლოდ საბერძნეთის ეროვნული დროშა ფრიალებს.
ბ) მხოლოდ საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი ჟღერს.
გ) სტადიონზე პირველები ბერძენი სპორტსმენები გამოდიან.

5. რით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები?

ა) ოლიმპიადა ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას.
ბ) ოლიმპიადა ხელს უწყობს საზეიმო სანახაობით მსოფლიოს დაინტერესებას.
გ) ოლიმპიადის გახსნის დღეს ქვეყნები ანბანის მიხედვით გამოდიან.

6. საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმი საინტერესოა იმით, რომ აქ თავმოყრილია:

ა) ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.
ბ) საინტერესო მასალა მხოლოდ ძველბერძნული ოლიმპიადის შესახებ.
გ) ყველა ცნობილი შვედი სპორტსმენის ოლიმპიური ჯილდოები.

LIVEWORKSHEETS